საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ა. ჯ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 12.01.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი - 002/22

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ლ. ჯ. /სიითი N/

ადვოკატის წარმომადგენელი - მ. ჭ.

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ლ. ჯ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 საჩივრის ავტორმა ადვოკატმა ა. ჯ.-მ 2021 წლის 12 იანვარს წარმოადგინა საჩივარი ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა 2022 წლის 27 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 15 ოქტომბერს ს. ს. ს.-ში გაიმართა ზეპირი განხილვა საქმეზე - „ლ. ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". საქმის ფარგლებში განიხილებოდა ადვოკატთა ასოციაციის ფორმის, პროფესიაში შესვლის და პროფესიის მიმართ დადგენილი სტანდარტის არაკონსტიტუციურად მიჩნევის საკითხები.

1.2 ვინაიდან, საკითხი ეხებოდა მომჩივანის პროფესიას და პროფესიული საქმიანობის განმსაზღვრელ ფორმებზე მსჯელობას, საჩივრის ავტორს გაუჩნდა კითხვები და როგორც ადვოკატმა თავი იგრძნო შეურაცხყოფილად (მისი შეფასებით, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა ზიანს აყენებდა პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობას). საკონსტიტუციო სასამართლოში ზემოაღნიშნულ საქმეზე ზეპირი განხილვა წარიმართა კორპორაციისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენების მცდელობის ფორმატში. მოსარჩელე და მისი ადვოკატი გამოირჩეოდნენ არარელევანტური, საქმის არსს აცდენილი და აგრესიული გამოსვლებით. შესაბამისად, ადვოკატმა ა. ჯ.-მ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, თავის პირად გვერდზე შეკითხვის სახით გამოაქვეყნა შემდეგი წერილი/სტატუსი: „ს. ს. ს.-ში არსებითი განხილვის საქმეზე „ლ. ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ვინც უსმინეთ მართლა გულწრფელად მაინტერესებს ვინმესთვის მოსარჩელე მხარის ან დასაბუთება ან კომპეტენცია, ან ეთიკა ან რამე იყო მოსაწონი მისაღები ან გასაზიარებელი?“. აღნიშნულ სტატუსზე ანალოგიური შეფასება დააფიქსირა არაერთმა კოლეგამ (ზოგმა საჩივრის ავტორზე უფრო მძაფრი ფორმით).

1.3 მას შემდეგ რაც ადვოკატ ლ. ჯ.-სთვის ცნობილი გახდა ადვოკატ ა. ჯ.-ს „ფეისბუქ“ გვერდზე ადვოკატ მ. ა.-ს მიერ გამოქვეყნებული საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ 2021 წლის 20 დეკემბერს ა. ჯ. -ს „ფეისბუქ“ გვერდზე განხორციელდა ჰაკერული შეტევა და ა. ჯ.-ს შეეზღუდა წვდომა მის პირად „ფეისუქ“ გვერდზე (მომჩივანი ვეღარ შეძლებდა მის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსზე კომენტარების წაშლას ან პასუხის გაცემას), ადვოკატმა ლ. ჯ.-მა და მისმა მეუღლემ მ. ჭ.-მ და აგრეთვე, ლ. ჯ.-ის სიდედრმა ნ. ბ.-მ დაწერეს პროფესიული რეპუტაციის შემლახველი კომენტარები ადვოკატ ა. ჯ.-ს „ფეისბუქ“ სტატუსზე (სულ დაფიქსირდა 229 კომენტარი), მათ შორის გამოიყენეს ისეთი ეპითეტები როგორიცაა „თაღლითები“, „სამარცხვინო ადვოკატი“, „პარლამენტის კიბეების ბ**ი“, „ნათრევი ძუ*ნა“, „ა.-ის ბო* ბანდა“, „ბო**რი სიფათი“.

1.4 განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ნ. ბ., რომელიც მოქმედებდა ლ. ჯ.-ის დავალებით. მომჩივანის განცხადებით, ადვოკატი ლ. ჯ. იმედოვნებს, რომ კომისია ვერ შეაფასებს მისი სიდედრის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, თუმცა ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზეც, ვინც მოქმედებს მისი დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას. შესაბამისად. ადვოკატის დავალებით მისი სიდედრის მხრიდან პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ქმედებები, მით უფრო, როდესაც ფიქსირდება ადვოკატის მხრიდან ამ კომენტარების მოწონებაც წარმოადგენს ეთიკის კოდექსის ფარგლებში კოლეგიალობის პრინციპის უხეშ დარღვევას და ადვოკატისთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. ჯ.-ის მოქმედება, მათ შორის მისი სიდედრის წახალისება დაეწერა ღირსების შემლახავი კომენტარები წარმოადგენდა მიზანმიმართულ მოქმედებას, იმ გარემოებაში, როდესაც „ფეისბუქ“ გვერდზე „სტატუსი“ ადვოკატ ა. ჯ.-ს მიერ გამოქვეყნდა 2021 წლის 15 ნოემბერს, თუმცა ადვოკატ ლ. ჯ.-ის და მისი სიდედრის მიერ კომენტარები გამოქვეყნდა დაგვიანებით, 20 დეკემბერს, როდესაც უკვე ადვოკატმა ლ. ჯ.-მა შეიტყო, რომ ა. ჯ.-ს შეზღუდული ჰქონდა წვდომა მის პერსონალურ „ფეისბუქ“ გვერდზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მიმართა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ ადმინისტრაციას მისი პერსონალური გვერდის აღდგენის მიზნით, თუმცა დღემდე შეზღუდული აქვს მას თავის გვერდზე წვდომა.

2. ადვოკატის განმარტება:

2.1 2022 წლის 31 იანვარს ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ეთიკის კომისიას წარუდგინა წერილობითი განმარტება. 2022 წლის 24 ივნისს დისტანციურ რეჟიმში გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომა, რომელიც დაიწყო 12:44 წთ.-ზე ადვოკატმა და მისმა წარმომადგენელმა წარმოადგინეს ზეპირი ახსნა-განმარტება, თუმცა დისტანციური სხდომა თვითნებურად, გაუფრთხილებლად დატოვეს 13:30 წთ.-ზე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ადვოკატ ა. ჯ.-ს საჩივარი მის მიმართ არის დაუსაბუთებელი. ადვოკატი ა. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის გუნდის წევრი და ეთიკის კომისიაში მას გუნდის მხარდაჭერის იმედი აქვს. ადვოკატის განცხადებით, ა. ჯ.-მ მისი დისკრედიტაციის მიზნით და საადვოკატო საქმიანობაზე ხელშეშლისთვის გამიზნულად განათავსა საჯარო პოსტი სოციალურ ქსელში. კერძოდ, 2021 წლის 15 ნოემბერს ადვოკატმა ა. ჯ.-მ ლ. ჯ.-ის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების წესების კონსტიტუციურობის საკითხზე, საჯაროდ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა ე.წ. სტატუსი, რომელსაც ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარების სახით გამოეხმაურნენ ა. ჯ.-ს კოლეგები.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ა. ჯ.-მ გარდა ზემოაღნიშნული სტატუსისა, კომენტარების სახით მის მიმართ უკიდურესი სარკაზმით, ცინიზმითა და მძიმე ფორმით გამოხატული შეურაცხმყოფელი ფრაზები გამოაქვეყნა: „რეაქტიული ინდუცირებული ფსიქოზის მატარებელი პირი, ორღობის ჭორიკნების ღობე, დანინგ კრუგერის ეფექტის კლასიკური ცოცხალი მაგალითი“. ამასთან, საჩივრის ავტორი ა. ჯ. შეურაცხყოფას აყენებდა მ. ჭ.-ს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას არ აქვს რაიმე სახის პიროვნული დაპირისპირება საჩივრის ავტორთან და დისციპლინური საქმისწარმოება უნდა შეწყდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა ა. ჯ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 12 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისადმი მომართვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. კოლეგიის წევრთა აცილების საკითხი:

4.1 ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დააყენა კოლეგიის თავმჯდომარის ანა ლორიას და კოლეგიის წევრის ნათია ჩიტაშვილის აცილების საკითხი. ადვოკატმა აღნიშნულის საფუძვლად მიუთითა, რომ ანა ლორია კითხულობს ლექციებს „ნ.-ვ. უ."-ში ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ადვოკატების პერსონალურ მონაცემთა დაფარვის გარეშე, მათ შორის განიხილავს მის მიმართ ეთიკის კომისიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, ის დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში იქნება მიკერძოებული და ის ასევე მოქმედებს „სუს-ის" დავალებით. ადვოკატის განცხადებით, ნათია ჩიტაშვილის სამეცნიერო ნაშრომები ეხება უშუალოდ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ გამოტანილ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, არსებობს მისი აცილების საფუძველიც.

4.2 კომისიამ იმსჯელა საპროცესო კოლეგიის ორი წევრის აცილების თაობაზე და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ აცილების შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს დებულებით გათვალისწინებული აცილების სამართლებრივი საფუძველი.

4.3 აცილების შესახებ განცხადება დაკმაყოფილდება, თუ დადასტურდება დებულების 11.1 მუხლში მითითებული გარემოებები (ადვოკატთა დისციპლინური პასუხიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 12.4).

4.4 „ეთიკის კომისია დისციპლინურ საქმეს განიხილავს მიუკერძოებლად. მიუკერძოებლობა ნიშნავს საქმისადმი წინასწარი დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური კატეგორიის შეფასებისას ყურადღება მახვილდება საქმის განმხილველი წევრის პირად დაინტერესებაზე საქმის მიმართ. ევროსასამართლოს პრაქტიკით აღიარებულია პრეზუმფცია, რომ კოლეგიის წევრი არ არის სუბიექტურად მიკერძოებული. ეს გამომდინარეობს სამართალურთიერთობებში მონაწილე პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან. ივარაუდება, რომ კოლეგიის წევრი აიცილებდა საქმეს, რომ თვლიდეს თავს მიკერძოებულად. სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური კატეგორიის მიხედვით უნდა შეფასდეს ფაქტები, რომლებმაც შესაძლებელია გონიერი დამკვირვებლის თვალში წარმოშვას ეჭვი კომისიის წევრის მიკერძოებაზე" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის" 01.11.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 098/18, 11.1.4-11.1.5).

4.5 საპროცესო კოლეგიამ, განიხილა მოპასუხე ადვოკატის - ლ. ჯ.-ის მიერ დისციპლინური საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე წარმოდგენილი შუამდგომლობა კოლეგიის თავმჯდომარის ანა ლორიას და კოლეგიის წევრის ნათია ჩიტაშვილის აცილების თაობაზე და გადაწყვიტა, რომ კომისიის წევრების აცილების შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გარემოებები, რომელიც, ხელს შეუშლიდა კოლეგიის თავმჯდომარის ანა ლორიას და კოლეგიის წევრის ნათია ჩიტაშვილის მიერ საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას. მოპასუხე ადვოკატს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ კომისიის რომელიმე წევრი არღვევდა მის პერსონალურ მონაცემებს და მისი სახელის და გვარის მითითებით განიხილავდა ისეთ საქმეებს, რომელიც საჯარო არ იყო. კომისიის შეფასებით, თავად ის ფაქტი, რომ კოლეგიის წევრები კითხულობენ ლექციებს და/ან წერენ აკადემიურ ნაშრომებს, არ შეიძლება გახდეს მათი აცილების

სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, კომისიამ, წარმოდგენილი შემადგენლობით გააგრძელა დისციპლინური საქმის განხილვა.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან ვერ დასტურდება მისი მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. შესაბამისად, არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ლ. ჯ.-მა 2021 წლის 20 დეკემბერს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ადვოკატ ა. ჯ.-ის პერსონალურ გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსის სახით შემდეგი ტექსტი: „მრცხვენია შენნაირი ადვოკატების არსებობის, სამარცხვინო ხარ მეტი არაფერი“.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ კოლეგიალობის ვალდებულების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლები 7, 10.1).

6.3 აზრისა და გამოხატვის თავისუფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 17), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა (მუხლი 10.1) და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონით.

6.4 განსხვავებით საქართველოში მყოფი ნებისმიერი სხვა პირისაგან, ადვოკატი გამოხატვის თავისუფლების ნაწილში უფრო შეზღუდულია, რადგან მას პროფესიული ვალდებულებები აკისრია საზოგადოების, მართლმსაჯულებისა და ადვოკატის პროფესიის მიმართ, რაც ადვოკატის უმნიშვნელოვანესი როლიდან არის განპირობებული. ამ როლს გაეროს პრინციპებიც მკაფიოდ განმარტავს და უთითებს, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად (გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, პრინციპი 23).

6.5 შესაბამისად, ადვოკატს გააჩნია აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტური უფლება და ის შეიძლება შეიზღუდოს, თუ აზრი გადმოცემულია უხამსი ფორმით და/ან როდესაც ეს გამოხატვა არღვევს პროფესიულ ვალდებულებებს, რომელთა შორის არის კოლეგების პატივისცემისა და მათი ღირსების შელახვის დაუშვებლობა. 2012 წლამდე არსებული რედაქციით, კოლეგიალობის ვალდებულება ვრცელდებოდა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, თუმცა ნორმის მიზნიდან გამომდინარე, აღნიშნული რეგულაცია შეიცვალა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7) და ადვოკატს კოლეგების ღირსების შელახვის დაუშვებლობა, მათი უფლებების პატივისცემა და პროფესიული ღირებულებების დაცვა დაევალათ მაშინაც, როდესაც ისინი უშუალოდ არ ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას (მაგ, როდესაც ადვოკატი ტრიბუნალის გარეთ აკეთებს საჯარო განცხადებას, რომელიც შეეხება სასამართლოს, ადვოკატის პროფესიას ან მისი მონაწილეობით

წარმოებული პროცესის რომელიმე მონაწილეს, მონაწილის სტატუსის მიუხედავად). კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის მხრიდან საჯარო განცხადებების გაკეთებისას პროფესიული პასუხისმგებლობის გავრცელება მიზნად ისახავს ადვოკატის პროფესიის დაცვას და საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავებას. სწორედ ამიტომ, ისეთ ვითარებაში, სადაც ადვოკატი აღიქმება საზოგადოებაში ამ პროფესიის წარმომადგენლად, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზაციისას, ადვოკატს მოეთხოვება ეთიკური სტანდარტების დაცვა.

6.6 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

6.7 „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე *R.S and Z v Switzerland*).

6.8 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება (მომჩივანის მიერ ე.წ. „სქრინის“ სახით წარმოდგენილი სტატუსი, კომენტარებით), რომლის მიხედვითაც, ირკვევა, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა სოციალურ გვერდ „ფეისბუქში“ (სახელით ლათინური შრიფტით „L.J“) საჩივრის ავტორის პირად სოციალურ გვერდზე (ქართული შრიფტით „ა. ჯ.“) საჯაროდ განთავსებულ სტატუსზე, რომელიც ეხებოდა მოპასუხე ადვოკატის ქცევას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვაზე, გამოაქვეყნა შემდეგი სახის კომენტარი: „მრცხვენია შენნაირი ადვოკატების არსებობის... სამარცხვინო ხარ მეტი არაფერი“. ადვოკატ ლ. ჯ.-ს სადავოდ არ გაუხდია მომჩივანის მიერ მითითებული „ფეისბუქ“ გვერდის „L. J.-ის“ კუთვნილება.

6.9 კოლეგიის შეფასებით, რაც უფრო მაღალი სტანდარტითაა დაცული ადვოკატის აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, მით უფრო დიდი ღირებულება ენიჭება პროფესიული ღირსების შენარჩუნებას საჯარო გამოხატვისას, მათ შორის ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში მოსაზრებების გამოქვეყნებისას. განსახილველ შემთხვევაში, კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მოსაზრების წინაპირობა იყო მომჩივანი მხარის მიერ გამოქვეყნებული სტატუსი, რომელიც მოპასუხის ქმედებების შეფასებას ეხებოდა. გამოქვეყნებული სტატუსი, რომელიც შეიცავს სიტყვებს „მრცხვენია შენნაირი ადვოკატის“, „სამარცხვინო ხარ“ წარმოადგენს ადვოკატის მოსაზრებას მომჩივანის პიროვნების მიმართ. მართალია აღნიშნული გამოხატვა არ არის თავაზიანი ფორმით წარმოდგენილი, თუმცა ის არ არის უხამსი ფორმით გადმოცემული აზრი, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს. მოპასუხის გამონათქვამები - „მრცხვენია შენნაირი ადვოკატის“... „სამარცხვინო ხარ“, მიუხედავად იმისა, რომ არ არის მოსაწონი, ექცევა დასაშვები კრიტიკის დარგლებში და აღნიშნული არ შეიძლება იყოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება არა

კოლეგისადმი და ადვოკატის პროფესიისადმი უპატივცემულობის გამოხატვა, არამედ, მომჩივანის მიერ მოპასუხე ადვოკატის შესახებ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსის საპასუხო რეაქცია, რაც ეხება კონკრეტულ პიროვნებას - კოლეგის შეფასებას, თუმცა აღნიშნული გამოხატვის თავისუფლებითაა დაცული.

6.10 კოლეგიამ კოლეგიალობის ვალდებულების ჭრილში შეაფასა საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მითითებით მისმა სიდედრმა - ნ. ბ.-მ (სახელით „N. B.“) სოციალურ ქსელში მის სტატუსზე კომენტარების სახით გამოაქვეყნა შემდეგი შეურაცხმყოფელი ფრაზები: „თაღლითები“, „სამარცხვინო ადვოკატი“, „პარლამენტის კიბეების ბო*ი“, „ნათრევი ძუ*ნა“, „ასათიანის ბო* ბანდა“, „ბო**რი სიფათი“.

6.11 ეთიკის კომისიის შეფასებით, ყოვლად დაუშვებელია მსგავსი გამოხატვა, რადგან ის არის გამოცემული უხამსი ფორმით, არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და ვერ ისარგებლებს გამოხატვის თავისუფლების უფლებით. თუმცა არ შეიძლება პროფესიული პასუხისმგებლობა დაეკისროს ადვოკატს იმ გამონათქვამებისათვის, რომელსაც სხვა პირი, თუნდაც ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლობელი გამოხატავს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უხამსი კომენტარები გაკეთებული იყო მომჩივანი მხარის და არა მოპასუხე ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსზე და მოპასუხე ადვოკატს არ ჰქონდა შესაძლებლობა ემართა სხვის მიერ დაწერილი სტატუსები, ემოციები თუ კომენტარები (მაგ. წაეშალა ან დაემალა კომენტარი ისე, რომ საზოგადოების დანარჩენ წევრებს არ ჰქონოდათ წვდომა ამ ინფორმაციაზე). კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მითითება/წაქეზება მსგავსი უხამსი შინაარსის გამონათქვამების გაკეთებაზე, არ შეესატყვისება მის უმნიშვნელოვანეს როლს და პასუხისმგებლობას, რომელიც ადვოკატს საზოგადოებისა და მისი პროფესიის წინაშე აკისრია. თუმცა, დისციპლინურ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადასტურებდა მოპასუხე ადვოკატის მხრიდან ნ. ბ.-ის წაქეზებას, მითითებას ან დავალებას გაეკეთებინა უხამსი შინაარსის კომენტარები მომჩივანი მხარის მიერ გამოქვეყნებულ სტატუსზე. აღნიშნული წარმოადგენს საჩივრის ავტორის ვარაუდს, მის პოზიციას, რომელიც ვერ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით.

6.12 მომჩივანი უთითებს, რომ ადვოკატი ლ. ჯ.-ი სოციალურ ქსელში „N. B.-ს“ მიერ გამოქვეყნებულ შეურაცხმყოფელ კომენტარებზე „მოწონებას“ გამოხატავდა. კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ სხვა პირის წახალისება მისი კოლეგის მიმართ გამოაქვეყნოს უხამსი და შეურაცხყმოფელი ფრაზები არის სწორედ ამ ადვოკატის აზრის გამოხატულება მესამე პირის ჩართულობით. თუმცა, კომისია აქვე განმარტავს, რომ სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ადვოკატის მხრიდან მესამე პირისათვის მსგავსი ქმედების დავალება დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით. გარდა საჩივრის ავტორის განმარტებისა, დისციპლინურ საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება, რომელიც სარწმუნოს გახდიდა იმ გარემოებას, რომ მსგავსი უხამსი გამონათქვამები ადვოკატის პოზიციის გამომხატველი იყო ან მოპასუხე ადვოკატის დავალებით მოქმედებდა.

6.13 შესაბამისად, კოლეგიალობის ვალდებულების დარღვევის ნაწილში არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა მოპასუხე ადვოკატის მიმართ, რადგან უშუალოდ ადვოკატის მიერ გამოხატული აზრი ექცევა გამოხატვის თავისუფლებით განსაზღვრულ ფარგლებში; ხოლო მოპასუხე ადვოკატის ახლობლების მიერ კომენტარების სახით გავრცელებული უხამსი გამონათქვამები არ სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების უფლებით, თუმცა დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი

მტკიცებულებათა ერთობლიობით, ვერ დადასტურდა, რომ აღნიშნული უხამსი კომენტარები ნ. ბ.-მ მოპასუხე ადვოკატის დავალებით დაწერა.

6.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე, 31-ე, 40.1 მუხლების და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №126/19 ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/